ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 54

“2” სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეგიდით ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიების გამართვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” და “ქ. თბილისის საკრებულოს ეგიდით ან/და პატრონაჟით გასამართი სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 3 ნოემბრის №73 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეთანხმებულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეგიდით ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიების გამართვა, რომელიც მიზნად ისახავს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების, მოღვაწეობისა და მკვლელობის შესახებ მხატვრულ–თეატრალური კომპოზიციის წარმოდგენას და ასევე საჯარო მსვლელობა–მარათონის მოწყობას.

2. ზემოაღნიშნული ღონისძიების დროულად და ეფექტურად გამართვის უზრუნველსაყოფად (აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯების გაწევა) დაევალოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს “ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 7 მარტის №5-5 გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის დამტკიცებული ასიგნებებიდან გამოიყენოს 8 391,60 (რვა ათას სამას ოთხმოცდათერთმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარი ააიპ “ახალგაზრდული შემოქმედებითი გაერთიანება ეროვნული იმპერატივის“ ანგარიშზე.

3. კანონმდებლობით დადგენილი წესით საკრებულოს აპარატმა გააფორმოს ხელშეკრულებები შესაბამის ფიზიკურ ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან.

4. განკარგულების შესრულების კონტროლი ერთობლივად დაევალოთ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას (თ. ტალიაშვილი) და საკრებულოს აპარატს (ე. დუმბაძე).

5. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**